

საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა
საზოგადოება („ბას“)

2017 წლის საქმიანობის ანგარიში

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის რეფორმა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც 2016 წლის 24 ივნისიდან ამოქმედდა, საფუძველი ჩაუყარა თვითრეგულირებიდან პროფესიის სახელმწიფო ზედამხედველობაზე გადასვლას.

რეფორმა მიზნად ისახავს კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას სამეწარმეო სუბიექტის ანგარიშგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულაციების შესაბამისი ევროდირექტივების დაცვა.

2. „ბას“-ის საქმიანობის მიზანი და ფუნქციები

მიზანი:


- ✓ საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებით;
- ✓ წევრების მაღალკვალიფიციური დონის მიღწევა და შენარჩუნება, საზოგადოებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;
- ✓ ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, ფინანსური ანგარიშგების სანდოობის და ხარისხის უზრუნველყოფით.

ფუნქციები:

- ✓ პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება;
- ✓ წევრების მომსახურების ხარისხის მონიტორინგი;
- ✓ წევრების საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა და ლობირება;
- ✓ სტანდარტების შემუშავება-თარგმნა, მათი სახელმძღვანელო ლიტერატურის მომზადება;
- ✓ დისციპლინარული მოკვლევა და მონიტორინგი წევრების მიერ პროფესიული ეთიკის დაცვაზე.

3. „ბას“-ის ორგანიზაციული სტრუქტურა

„ბას“-ის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:



4. კომიტეტების საქმიანობა

პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტი

პროფესიული სერტიფიცირება, გადამზადება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა „ბას“-ის ძირითადი საქმიანობაა. ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, 2017 წელს გამორჩეული იყო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობა. კერძოდ, სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტების შესაბამისად, მომზადდა და აღიარების მიზნით სამსახურს წარედგინა: 2017 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა; დაიწყო მუშაობა კანონმდებლობით დადგენილი, აღიარებისათვის აუცილებელი სერტიფიცირებული ბუღალტრის სასერტიფიკაციო პროგრამის მოსამზადებლად.

განგრძობითი განათლება. ახალი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განგრძობითი განათლების პროგრამა პირველად განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული/რეგისტრირებული „ბას“-ის განგრძობითი განათლების პროგრამის საფუძველზე, ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობით. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული 74 აუდიტორიდან განგრძობითი სწავლების სემინარებს დაესწრო 72; განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა 1; განგრძობითი განათლების მოთხოვნა არ/ვერ შეასრულა 1-მა.

საწევრო კომიტეტი:

საწევრო კომიტეტი განიხილავს წევრობის კანდიდატების წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებებს მათ წევრად მიღებაზე, ატარებს ადმინისტრაციულ ღონისძიებებს წევრობის შეჩერებასა და გარიცხვაზე. კურირებს საწევრო გადასახადების დაფარვის პროცესს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საანგარიშო წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო „ბას“-ის ნამდვილი წევრების რეესტრში. პროფესიის ახალი რეგულაციების შესაბამისად, აუდიტორული საქმიანობის მიზნებისათვის, სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრებისა და პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირების (რომელთა სერტიფიკატებიც ძალაში იყო 2013 წლის 01 იანვრისათვის) - აუდიტორების სტატუსი გათანაბრდა. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაციისათვის სერტიფიცირებულ პირებს მოეთხოვებათ პროფესიული ორგანიზაციის წევრობა. 2017 წელს „ბას“-ის ნამდვილ წევრებს შეუერთდნენ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირები.

სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი:

კომიტეტის ფუნქციებია სტანდარტების თარგმნასა და ექსპერტიზაში მონაწილეობა, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან დაკავშირებული ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში სასწავლო პროგრამების შედგენა და ტრენინგების ჩატარება; წერილობით შემოსულ საკითხებზე პასუხების მომზადება. კომიტეტი მონაწილეობდა 2017 წლის განგრძობითი განათლების თემატიკით გათვალისწინებული სალექციო კურსის პროგრამის მომზადებისა და ლექციების ჩატარების პროცესში.

ხარისხის კონტროლისა და პროფესიული ეთიკის კომიტეტი

2017 წლის ფარგლებში კომიტეტის მიერ მომზადდა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით მოთხოვნილი „აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი.საანგარიშო პერიოდში „ბას“-ი დაკავებული იყო წევრების ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში (საკონსულტაციო, აუდიტის მეთოდოლოგია და სხვა) მხარდაჭერით.

5. 2017 წლის განმავლობაში ზედამხედველობის სამსახურის მიღებული ნორმატიული აქტები, რომელთა შემუშავებაშიც მონაწილეობდა „ბას“-ი

1. „პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი“;
2. „დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
3. „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი“;
4. „განგრძობითი განათლების სტანდარტი“;
5. „ანგარიშგებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის წესი“;
6. „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესი“;

6. სხვა აქტივობები

- 1) 25-27 აპრილი, მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება (კიევი, უკრაინა);
- 2) 2017 წლის 21-22 ივნისი, თბილისში, სასტუმრო „ბილტმორში“ მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „ბუღალტრული განათლების განვითარების ეროვნული ინიციატივა“;
- 3) 2017 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრისა (CFRR) და ფასს ფონდის (IFRS Foundation) ერთობლივი სემინარი - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განათლების საკითხები“.

გიორგი ხმალაძე

„ბას“-ის გამგეობის თავმჯდომარე

ა(ა)იპ "საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა
საზოგადოება" ("ბას")

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	01/01/2016	31/12/2016	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3,165	5,977	26,967
მოკლევადიანი მოთხოვნები	8,475	28,841	36,031
წინასწარ გადახდილი გადასახადები	567	567	430
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12,336	12,146	11,957
ჯამურად მიმდინარე აქტივები	24,544	47,532	75,384
სულ აქტივები	24,544	47,532	75,384
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	10	83	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები	10	83	-
სულ ვალდებულებები	10	83	-
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული ფონდები	24,534	47,449	75,385
სულ კაპიტალი და რეზერვები	24,534	47,449	75,385
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	24,544	47,532	75,385

ა(ა)იპ "საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება"
("ბას")

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	2016 წ.	2017 წ.
საწევრო მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლები	26,146	6,240
განგრძობითი სწავლებიდან მიღებული შემოსავლები	-	30,600
წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	220	220
სხვა საოპერაციო შემოსავლები	300	-
სულ საოპერაციო შემოსავალი	26,666	37,060
მომსახურების ხარჯები	-	688
სერტიფიცირების ხარჯები	3,122	1,805
იჯარის ხარჯები	-	300
სხვა საოპერაციო ხარჯები	543	6,554
სულ საოპერაციო ხარჯები	3,665	9,347
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	400
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(86)	(177)
მოგება დაბეგვრამდე	22,915	27,936
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	22,915	27,936

ა(ა)იპ "საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა
საზოგადოება" ("ზას")

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	31/12/2016	31/12/2017
მოგება დაბეგრვამდე	22,915	27,936
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	22,915	27,936
ცვლილებები მოკლევადიან მოთხოვნებში	(20,366)	(7,190)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	190	190
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	-	138
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	73	(83)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,812	20,991
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	2,812	20,991
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,165	5,977
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5,977	26,968

ა(ა)იპ "საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და
აუდიტორთა საზოგადოება" ("ბას")

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)

	აკუმულირებული ფონდები	ჯამურად
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	24,534	24,534
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	22,915	22,915
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47,449	47,449
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	27,936	27,936
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	75,385	75,385